



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის მედიის სკოლა



საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა (ნიუ ჯერსის სიტი უნივერსიტეტთან ერთად - NJCU, აშშ)
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Media Arts 3-Year Joint Program (with New Jersey City University – NJCU, USA)
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0211
ქართულად:	1. კავკასიის უნივერსიტეტი - მედიახელოვნების ბაკალავრი 2. ნიუ ჯერსის სიტი უნივერსიტეტი (აშშ) - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მედიახელოვნებაში
ინგლისურად:	1. Caucasus University - Bachelor of Media Arts 2. New Jersey City University - Bachelor of Arts in Media Arts
პროგრამის დამტკიცების თარიღი	04.11.2025, N01/01-90
პროგრამის განახლების თარიღი	-
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ანა მგალობლიშვილი, აფილირებული პროფესორი; გიორგი სალუქვაძე, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	200 ECTS
მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი პროგრამა მოიცავს 200 ECTS კრედიტს, საიდანაც სტუდენტი I-II აკადემიურ წლებში 150 ECTS კრედიტს ითვისებს კავკასიის უნივერსიტეტში და III აკადემიურ წელს 50 ECTS კრედიტს ითვისებს აშშ-ის ნიუ ჯერსის სიტი უნივერსიტეტში; - I აკადემიური წელი - 75 ECTS კრედიტი (CU) - II აკადემიური წელი - 75 ECTS კრედიტი (CU) - III აკადემიური წელი - 50 ECTS კრედიტი (NJCU) შესაბამისად, პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი, ხოლო დასაშვები ვადა 5 აკადემიური წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით და მოიცავს პირველ (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრებს. სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოცდა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს. მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები: - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 150 ECTS; - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: 15 ECTS - თავისუფალი კომპონენტი: 35 ECTS საგნების თანმიმდევრობა ემსახურება პროგრამით დასახული მიზნების მიღწევასა და სტუდენტის მიერ დარგში ღრმა ცოდნის, ეფექტური პრაქტიკული უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

კავკასიის მედიის სკოლისა და ნიუ ჯერსის სიტი უნივერსიტეტის (NJCU) მედიახელოვნების ერთობლივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.	

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს ჰქონდეს: მიზანი N1: კლასიკური ხელოვნების დარგების თეორიული საფუძვლების ცოდნა; სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის, მათ შორის მედიახელოვნების პროდუქტების/აუდიოვიზუალური და ციფრული ნამუშევრების კრიტიკული ანალიზის, წერილობითი და ვერბალური განმარტება-მსჯელობის, შეფასების უნარები, დამახასიათებელი როგორც შინაარსის, ასევე, ღირებულებითი მნიშვნელობისა და ეთიკური სტანდარტების მიხედვით; მიზანი N2: მრავალფეროვანი პრაქტიკული უნარები, მათ შორის, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ფორმატის კონტენტისა თუ აუდიო-ვიზუალური ნამუშევრების შესაქმნელად. კონკრეტულად: ფოტო-აუდიო-ვიდეო, ტექსტური, გრაფიკული პროდუქტების შექმნის უნარი; ვებსაიტებისა და სოციალური ქსელების შინაარსის კრეატორობისა და მართვის უნარი; მიზანი N3: შემოქმედებითი ხედვა, ორიგინალური და ინდივიდუალური მიდგომები მედიახელოვნების სფეროში: ფილმის რეჟისურაში, სცენარის შექმნაში, მულტიმედია ფორმატებში - სხვადასხვა ჟანრული და სტილისტური მიდგომებით; პრობლემების შემოქმედებითი (კრეატიული), ინოვაციური და ექსპერიმენტზე დაფუძნებული გადაჭრის უნარი; მიზანი N4: აუდიოვიზუალური პროექტების წარმოების სრული ციკლის დაგეგმვის, მართვის, შედეგების შეფასების უნარები, ინტერდისციპლინარული მიდგომებით, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, გუნდურად. სწრაფად ადაპტირდეს სფეროში არსებულ სიახლეებთან. იმოქმედოს პროფესიული და მოქალაქეობრივი ეთიკური პასუხისმგებლობების გააზრებითა და გათვალისწინებით. მიზანი N5: მულტიკულტურულ სივრცეშიერთწლიანი სწავლის, ახალი კონტაქტების დამყარების, პრაქტიკული პროფესიული დავალებების შესრულების პროცესში გლობალურად შეძლოს მედიახელოვნების მსოფლიო ბაზარზე არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, რაც მას ჩამოაყალიბებს საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის სასურველ კადრად.
პროგრამის სწავლის შედეგები	მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს აუდიოვიზუალური სფეროს სპეციალისტებს, რომელთაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ პროგრამის მიზნების შესაბამისი ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

	შედეგი N1: წერილობით და ვერბალურად გადმოსცემს კლასიკური ხელოვნების დარგების პროფილურ ცოდნას (სახვითი და პერფორმატიული ხელოვნება, კინემატოგრაფია, ლიტერატურა); აღწერს, განმარტავს და კრიტიკულად აანალიზებს ეპოქების, ხელოვნების ჟანრების კონკრეტული პროდუქტების შინაარსს; მიმოიხილავს და მსჯელობს მედიახელოვნების/აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებებზე; შედეგი N2: იკვლევს საკითხებს მედიახელოვნების სფეროში და პროფესიულ საკითხებზე მონაწილეობს დისკუსიაში; პრეზენტირებს პროფესიულ საკითხებს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის წინაშე; დემონსტრირებს აკადემიური წერის სტანდარტების ცოდნას, მისი ეთიკური პრინციპებისა და კეთილსინდისიერების დაცვით; შედეგი N3: პრაქტიკულ დონეზე აკონვერტირებს იდეებს აუდიო-ვიზუალურ ფორმატებში; იღებს და ამონტაჟებს ფოტო-ვიდეო მასალას; ხატავს ხელით და ციფრულად, მოძრაობაში ანიმირებს ნახატს; ილუსტრირებს მასალას გრაფიკულ დიზაინში, 3D პროგრამაში; აგებს ვებ-კოდინგის სისტემას; შედეგი N4: წერს ფილმის სცენარს; გეგმავს, იღებს, ამონტაჟებს ფილმს; მართავს პროდაქშენს; დემონსტრირებს შემოქმედებით უნარებს ფილმის რეჟისურაში, ფოტო-ვიდეო და ხმის დიზაინში, მონტაჟსა და მულტიმედია პროცესებში სხვადასხვა ჟანრული თუ სტილისტური, მათ შორის ექსპერიმენტული მიდგომით; კინოს სფეროში ავითარებს ორიგინალურ და ინდივიდუალურ ხედვას; შედეგი N5: ქმნის და ავითარებს მედიაარტის პროფესიული პროექტების პორტფოლიოს, რომელიც ასახავს ისეთ შემოქმედებით, ტექნიკურ და ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც გლობალურად მოითხოვება საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე. შედეგი N6: კოორდინირებს პროექტებს ინდივიდუალურად და გუნდურად, სწრაფად ადაპტირებს ახალ, კონკურენტულ და მულტიდისციპლინურ გარემოში; იღებს გადაწყვეტილებებს; მოქმედებს ეთიკური პასუხისმგებლობისა და დარგობრივი კომპეტენციის გათვალისწინებით; შედეგი N7: აანალიზებს, იზიარებს და იცავს ხელოვნების სფეროში არსებულ ღირებულებებსა და ეთიკურ ნორმებს; თავისი საქმიანობით ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.
დასაქმების სფეროები	მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი საბაკალავრო აკადემიური პროგრამის კუსდამთავრებული არის ფართო პროფილის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დასაქმების მრავალფეროვანი არეალი: • კინოინდუსტრია: კინოწარმოების ციკლის სხვადასხვა პოზიციაზე - როგორც წინასწარი კვლევის ეტაპის, წარმოებისა თუ პოსტ-პროდაქშნის ასისტენტი, ასევე, სცენარის წერის, ფილმის რეჟისურისა და საპროდიუსერო საქმის მიმართულებით;

	• ტელევიზია, ციფრული მედია, დამოუკიდებელი მედიაწარმოება: მათ შორის ციფრული კონტენტის შექმნა, ვიდეო და აუდიოპროექტების განხორციელება; • შემოქმედებითი სააგენტოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელოვნებო დაწესებულებები, საჯარო და კერძო სექტორები: კონტენტის კრეატორობა, ფოტო-ვიდეო გადაღება და მონტაჟი, აუდიო-“საუნდის” მიმართულება; • სოციო-კულტურული და მედიახელოვნების პროექტების განვითარება-მართვის მიმართულებები; • კონცეპტუალური და მულტიფუნქციური სივრცეები (ე.წ. ბრაუნდფილდები), ფესტივალები, როგორც მედიახელოვნების ციფრული მომსახურების, ასევე, იდეების გენერირებისა და აღსრულება-მართვის მიმართულებით; ზემოხსენებულ სფეროებში კურსდამთავრებულს დასაქმება შეუძლია საქართველოშიც და საზღვარგარეთაც.
--	---

მედიახელოვნების 3-წლიანი ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი\ მოდული	სწავლების წელი						ჯამური ECTS კრედიტი
				I		II		III		
				ECTS კრედიტი						
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: ჯამში 150 ECTS										
1.	CNJ 1136	არ აქვს	რეპრეზენტატიული ხატვა	5						
2.	CNJ 1134	არ აქვს	არტ-ტაიმლაინი	5						
3.	CNJ 1230	არ აქვს	შემოქმედებითი კომუნიკაცია	5						
4.	CNJ 1234	არ აქვს	კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5						
5.	CNJ 2330	არ აქვს	ინტერაქტიული ვებ-დიზაინი და კოდინგი		6					
6.	CNJ 1231	CNJ 1136	ციფრული ხატვა და ანიმაცია		6					
7.	CNJ 1237	არ აქვს	კომუნიკაციის ლაზი		4					
8.	CNJ 2334	CNJ 1230	მსახიობის ოსტატობა		4					
9.	CNJ 2430	არ აქვს	მარკეტინგული ციფრული კომუნიკაცია			6				
10.	CNJ 2431	CNJ 1237	ციფრული თხრობა და მულტიმედიური კომუნიკაცია			4				
11.	CNJ 3530	CNJ 1231	3D მოდელირება და დიზაინი			6				

12.	CNJ 3537	არ აქვს	ფოტოგრაფიის საფუძვლები			4				
13.	CNJ 2339	CNJ 2334	პერფორმანსის ხელოვნება			6				
14.	CNJ 2338	არ აქვს	რეკლამა და “კოპირაითინგი”			4				
15.	ENGP 2334	არ აქვს	ზოგადი ინგლისური B2.0/ PT პროფესიული სამიზნე ინგლისური ენა I			5				
16.	CNJ 2333	არ აქვს	მენეჯმენტი და პროექტების მართვა				5			
17.	CNJ 1337	არ აქვს	ლიტერატურა და კრეატიული წერა				5			
18.	CNJ 3437	არ აქვს	ფილმის ჟანრები				5			
19.	CNJ 3539	არ აქვს	მედია წიგნიერება				5			
20.	ENGP 3339	ENGP 2334	PT პროფესიული სამიზნე ინგლისური ენა II				5			
21.	CNJ 3432	CNJ 3437 CNJ 2431 ENGP 3339	ფილმის განვითარება I					5		
22.	CNJ 3532	CNJ 1237	ვიდეო პროდაქშენი I					5		
23.	CNJ 3534	CNJ 1237	აუდიო პროდაქშენი					5		
24.	CNJ 3533	არ აქვს	მედია ამერიკულ საზოგადოებაში					5		
25.	CNJ 3535	CNJ 2431	ციფრული მედია II					5		
26.	CNJ 3635	CNJ 1337	სცენარის წერა						5	
27.	CNJ 3631	CNJ 3432	ფილმის პროდაქშენი I						5	
28.	CNJ 3632	არ აქვს	ფილმის ესთეტიკა						5	
29.	CNJ 3633	CNJ 3432 CNJ 3532 CNJ 3534 CNJ 3535	მედია არტის სემინარი						5	
30.	CNJ 3637	CNJ 3432 CNJ 3532 CNJ 3534 CNJ 3535	მულტიმედია პროდაქშენი						5	
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: ჯამში 15 ECTS										
31.	CNJ 3630	CNJ 1132	სახელოვნებო კვლევა			5				
32.	CNJ 3307	არ აქვს	პოდეკასტის პროდაქშენი			5				

33.	CNJ 3634	CNJ 2333	სტრატეგიული კომუნიკაცია მედიასა და ხელოვნებაში			5				
34.	CNJ 3536	არ აქვს	ინტელექტუალური საკუთრების და სოცმედიის სამართალი			5				
35.	CNJ 3621	არ აქვს	წერა მედიისთვის			5				
36.	CNJ 3421	CNJ 1237	მაღალი საფეხური კომუნიკაციის ლაბი				5			
37.	CNJ 3423	არ აქვს	მრავალარხიანი მუსიკის პროდაქშენი				5			
38.	CNJ 3538	CNJ 1237	მულტიმედია ინსტალაცია				5			
თავისუფალი კომპონენტი: ჯამში 35 ECTS										
39.	CNJ 1130	არ აქვს	საინფორმაციო ტექნოლოგიები	6						
40.	CNJ 1132	არ აქვს	აკადემიური წერა	4						
41.	CNJ 1137	არ აქვს	პრეზენტაცია და პრეზენტაბელურობა	5						
42.	CNJ 2350	არ აქვს	სტატისტიკური ანალიზი		5					
43.	CNJ 3636	არ აქვს	სოციოლოგია		5					
44.	CNJ 1030	არ აქვს	საქართველოს ისტორია		5					
45.	CNJ 3531	არ აქვს	ინტერკულტურული კომუნიკაცია				5			
ECTS კრედიტები				სემესტრში	35	40	35	40	25	25
				წელიწადში	75		75		50	
										200

